ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განათლებისა და კულტურის კომისიის
სხდომის ოქმი N53

23 ივლისი, 2021 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

10:30 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
თ. ნიბლოშვილი, ა. ლაშხი, გ. გოცირიძე, ვ. ძნელაძე, ვ. ოთარაშვილი, მ. დარჩია.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:
1. ავთანდილ ცინცაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. გიორგი ახვლედიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. გიორგი ჩაკვეტაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. დავით უთმელიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. დავით რურუა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
6. ვახტანგ შაქარიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
7. თევდორე ისაკაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
8. ილია ჯიშკარიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
9. ლევან დარახველიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
10. ლევან დავითაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
11. ლევან ჟორჟოლიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
12. ლევან არველაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
13. რევაზ სოხაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
14. შალვა ოგბაიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

მოწვეული სტუმრები:
1. გაიოზ თალაკვაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. ლევან მიქავა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
3. ირაკლი გვილავა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი;
4. მაკა ნასრაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №71-134

დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032120333-03; 22.07.2021).

მომხსენებელი: ბატონი გაიოზ თალაკვაძე

თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი.

სხდომის თავმჯდომარე ქალბატონი თინათინ ნიბლოშვილი მიესალმა სხდომის მონაწილეებს, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და წარმოადგინა დღის წესრიგი, რომელიც კომისიის წევრების მიერ ერთხმად იქნა მოწონებული და დამტკიცებული.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი წარმოადგინა ბატონმა გაიოზ თალაკვაძემ და განმარტა, რომ ქალაქ თბილისის 2021 წლის ბიუჯეტში ცვლილებები მიმდინარე წელს მისაღები შემოსულობების პროგნოზების გათვალისწინებით ხდება. შემოსავლების ნაწილში დამატებული ღირებულების გადასახადი იზრდება 42 450,1 ათასი ლარით; სხვა შემოსავლების ნაწილში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი იზრდება 6 000,0 ათასი ლარით; სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები იზრდება 10,000.0 ათასი ლარით; არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლები იზრდება 1 000,0 ათასი ლარის ოდენობით. მანვე აღნიშნა, რომ საგადასახადო შემოსავლების ზრდის პარალელურად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2021 წლის 9 ივლისის N04-03/87474 წერილის საფუძველზე, გრანტების ნაწილში სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები მცირდება 25 000,0 ათასი ლარით და განისაზღვრება 5 000,0 ათასი ლარის ოდენობით. წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა ჯამურად 34 450,1 ათასი ლარით იზრდება და 1 226 976,9 ათას ლარს შეადგენს.

ბატონი გაიოზ თალაკვაძის განმარტებით, გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში (კოდი 01 01 13) ქვეპროგრამის ასიგნება იზრდება 200,0 ათასი ლარით, სამგორის რაიონში (კოდი 01 01 15) – 350,0 ათასი ლარით, მთაწმინდის რაიონში (კოდი 01 01 17) – 200,0 ათასი ლარით; სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) იზრდება 1 000,0 ათასი ლარით; საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) იზრდება 6 000,0 ათასი ლარით; ხოლო, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (კოდი 01 02 05) – 8,503.5 ათასი ლარით. დამატებითი თანხები გამოიყოფა საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქციისთვისაც (კოდი 02 01), რომელიც იზრდება 3 500,0 ათასი ლარით. გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია (კოდი 02 05) იზრდება 5 000,0 ათასი ლარით.

მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ 2015 წლის 13-14 ივნისს ძლიერი წვიმის შედეგად გამოწვეული სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები (კოდი 02 11) იზრდება 100,0 ათასი ლარით; გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01) – 865,0 ათასი ლარით; დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) იზრდება 3 000,0 ათასი ლარით; სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისთვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება (კოდი 06 02 02) – 438,3 ათასი ლარით. დამატებითი სახსრები

გამოიყოფა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურეობსთვისაც (კოდი 06 02 04), რომელიც დამატებით 500,0 ათასი ლარით დაფინანსდება. ბატონმა გაიოზმა, ასევე აღნიშნა, რომ 2021 წლის ბოლოს, დედაქალაქის ბიუჯეტს, სავარაუდოდ, კიდევ დაემატება ასიგნებები.

განათლებისა და კულტურის მიმართულებით არსებული საბიუჯეტო პროგრამებისა და ქვეპროგრამების დაფინანსებაში წარმოდგენილი ცვლილებებთან დაკავშირებით კი განიმარტა, რომ აღნიშნული სფეროების ხელშემწყობი პროგრამებისა და ქვეპროგრამების დასაფინანსებლად არ ხდება ბიუჯეტიდან დამატებითი თანხის გამოყოფა. დაბალანსება „სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა" (კოდი 08 02) გათვალისწინებული ასიგნებების „სუბსიდიის" მუხლიდან 482 840 (ოთხას ოთხმოცდაორიათას რვაას ორმოცი) ლარის ოდენობით, ზოგადი განათლებისა და სასკოლო პროექტების ხელშეწყობის ქვეპროგრამა (კოდი 07.02.01) ასიგნებების „სხვა ხარჯების" მუხლიდან 50,000 ლარის, ასევე უწყვეტი განათლებისა და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობის ქვეპროგრამის (კოდი 07 05 01) ასიგნებების „გრანტების" მუხლიდან - 50 000 ლარის ოდენობით მიღებული ეკონომიების საფუძველზე ხდება. შესაბამისად იზრდება შემდეგი პროგრამებისა და ქვეპროგრამების დაფინანსება:

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) – 3 000,0 ათასი ლარით, რითაც გაიზრდება თბილისის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სუბსიდირება.

პანტომიმის სახელმწიფო თეატრი (კოდი 08 01 02) – 25,0 ათასი ლარით „ამირან შალიკაშვილის სახელობის პანტომიმის საერთაშორისო ფესტივალის" ჩატარების მიზნით, რომელსაც პანტომიმის სახელმწიფო თეატრი 2015 წლიდან ატარებს. ფესტივალში მონაწილეობენ როგორც ადგილობრივი, ისე სხვა ქვეყნების შემოქმედებითი ჯგუფები.

სამეფო უბნის თეატრი (კოდი 08 01 08) – 42,8 ათასი ლარით, რითაც იზრდება „არაფინანსური აქტივების" მუხლი.

მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 08 03 12) – 70,0 ათასი ლარით „მერაბ კოსტავას მემორიალური სახლ-მუზეუმის" რეაბილიტაციისთვის დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 2 დეკემბრის №20.1415.1748 განკარგულების საფუძველზე, რომლითაც ცვლილება შევიდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 16 დეკემბრის №20.1505.1843 განკარგულებაში, ა(ა)იპ „მუზეუმების გაერთიანებას" მიეცა თანხმობა ქალაქ თბილისში, მიხეილ ზანდუკელის ქ. №1-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ: 01.15.02.011.011.01.506 და 01.15.02.011.011.01.004ა) შესყიდვასთან დაკავშირებით. აღნიშნული გადაწყვეტილება მოიწონა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2020 წლის 8 დეკემბრის №370 განკარგულებით.

კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა (კოდი 08 09) - 445,0 ათასი ლარით თბილისში მიმდინარე კულტურული პროცესების უწყვეტად გაგრძელებისა და სფეროში დასაქმებული ადამიანების მხარდაჭერის მიზნით.

ბატონი გაიოზის მოხსენების დასრულების შემდეგ სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში გაგრძელდა: საკრებულოს წევრი, ბატონი ლევან არველაძე დაინტერესდა, რა სახსრებით ხდება კაპიტალური სპეციალური ტრანსფერის 25 მილიონი ლარით შემცირების კომპენსირება, რასთან დაკავშირებითაც ბატონმა გაიოზ თალაკვაძემ განმარტა, რომ ინფრასტრუქტურული პროექტები არ შეჩერდება, აღნიშნული ასიგნების შემცირება კი დაბალანსდა დამატებული ღირებულების გადასახადის გაზრდით, რომელიც 42 450,1 ათასი ლარს შეადგენს.

საკრებულოს წევრმა, ბატონმა დავით უთმელიძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტით, გადასახადები კარგად არის დაბალანსებული და რაც მთავარია, ინფრასტრუქტურულ პროექტების დაფინანსება არ შემცირებულა.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

გაიოზ თალაკვაძემ, ლევან არველაძემ, დავით უთმელიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის № 71-134 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის დადებითად შეფასებისა და მისი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გადაცემის შესახებ

მომხრე ---------- 5

წინააღმდეგი ---------- 1 (კომისიის წევრი, ბატონი ვაჟა ოთარაშვილი)

თავი შეიკავა ---------- 0

განათლებისა და კულტურის კომისიამ ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა: კომისია დადებითად აფასებს აღნიშნული ბიუჯეტის ცვლილების პროექტს, არ აქვს არსებითი შენიშვნები და წინადადებები მის მიმართ და მხარს უჭერს წარმოდგენილი დადგენილების პროექტის გადაცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

თინათინ ნიბლოშვილი